ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის
ო ქ მ ი №15

2021 წლის 19 ნოემბერი ქ. ლაგოდეხი

**სხდომის თავმჯდომარე:** საკრებულოს თავმჯდომარე-კარლო ჯამბურია.
**სხდომას ესწრებოდნენ:**
საკრებულოს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).
მერის მოადგილე- ნინო ბატაშვილი;
მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი-ივანე წიქარიშვილი;
მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი-გიორგი მანგოშვილი.

-1-

*მოისმინეს:*
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2021 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ.

/მომხს: გ. ჩალათაშვილი/

**კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -18, წინააღმდეგი-0)**
***გადაწყვიტეს:***
მოწონებული იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2021 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტები, დანართის შესაბამისად.

/განკარგულება №32 თან ერთვის/

-2-

*მოისმინეს:*
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის №14 -ი „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს: ივ. წიქარიშვილი/

**კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -18, წინააღმდეგი-0 )**

***გადაწყვიტეს:***
შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის № 14-ი განკარგულების დანართში, კერძოდ საპივატიზებო ობიექტების ნუსხას დაემატოს მერიის საკუთრებაში არსებული ქონება :

/განკარგულება №33 თან ერთვის/

-3-

*მოისმინეს:*
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 სექტემბრის №გ-93.93212465 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს:ი. წიქარიშვილი/

**კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -18, წინააღმდეგი-0 )**
***გადაწყვიტეს:***

შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 სექტემბრის №გ-93.93212465 განკარგულების დანართი N1-ში და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო გეგმა ჩამოყალიბდეს ახალი დანართი N1-ის შესაბამისად.

/განკარგულება # 36 თან ერთვის/

-4-

***მოისმინეს:***

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 აგვისტოს №გ-93.93212372 განკარგულებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ცვლილების განხორციელების შესახებ

/მომხს: ივ. წიქარიშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -18, წინააღმდეგი-0)

***გადაწყვიტეს:***

შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 აგვისტოს №გ-93.93212372 განკარგულებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

/განკარგულება №35 თან ერთვის/

-5-

*მოისმინეს:*

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს:ივ. წიქარიშვილი/

**კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -18, წინააღმდეგი-0)**

***გადაწყვიტეს:***

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება-ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალება მარკა -JAC-X200 HFC1036KR, ტიპი- სატვირთო ბორტიანი, სარეგისტრციო ნომერი- UU941US, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეეთა განვითარების ცენტრს" /საიდ. ნომერიN433105702/.

/განკარგულება №34 თან ერთვის/

-6-

*მოისმინეს:*

ქალაქ ლაგოდეხში მდებარე ბახტრიონის ქუჩისათვის სახელის გადარქმევისა და მიტროპოლიტი სერგის სახელის დარქმევის (სახელდების) შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების თაობაზე.

/მომხს: ა. ბაინდურაშვილი/

**კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -18, წინააღმდეგი-0)**

***გადაწყვიტეს:***

დაიშვას გამონაკლისი კანონმდებლობით დადგენილი წესიდან, ქალაქ ლაგოდეხში მდებარე ბახტრიონის ქუჩისათვის სახელის გადარქმევისა და მიტროპოლიტი სერგის სახელის დარქმევაზე (სახელდებაზე).

/განკარგულება №31 თან ერთვის/

საკრებულოს თავმჯდომარე კარლო ჯამბურია